• დაგელოცოს მარჯვენა! •

ახალ წელს ახალი ენერგიით!

შრომითი ჰაატაკი

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალი წლის პირველი დღეები ახალი წარმატებებით აღინიშნა მეტალურგიულ ქარხანაში. პირველ ორ დღეში ქვეყანამ მიიღო ათასობით ტონა რუსთავის მარკის მეტალურგიული პროდუქცია.

ტრადიციის მიხედვით ქარხნის საერთო წარმატებებს სათავეში უდგანან მეფოლადეები. № 1 ღუმელზე, რომელსაც ემსახურებიან სახელმოხვეჭილი მეფოლადეები ზ. უაველაშვილი, ი. ლურსმანაშვილი, გ. ბერეკაშვილი და ა. ფანცულაია, 1 და 2 იანვარს განხორციელდა ჩქაროსნული დნობა. მეფოლადეებმა საათნახევრით შეამცირეს დნობისათვის განკუთვნილი დრო.

ახალი წლის პირველ დღეებში სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მეტალურგებმა უ. ჩუბინიძემ, ო. ლომიძემ, გ. ჩაჩანიძემ, ი. ნადირაშვილმა და სხვებმა.

— არ შევანელოთ ტემპი, ახალი გამარჯვებით შევხვდეთ სკკპ XXIII ყრილობას! — ასეთია ამჟამად რუსთაველი მეტალურგების საბრძოლო დევიზი.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარჩინებული მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანირან ფანცულაია. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. სანიკიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ალიევმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ბელმრმა რედაქციას აცნობეს, რომ ბოლნისის რაიონის მშრომელები ახალ წელს ახალი წარმატებებით შეხვდნენ. სახელმწიფოს მიეყიდა 9.260 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად 1965 წელს გეგმით გათვალისწინებული 7.250 ცენტნერისა.

ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის მეორე მდივანმა ი. ტყემალაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. რეხვიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ბაკალაშვილმა, — ნაცვლად 1965 წელს გეგმით გათვალისწინებული 4.200 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.203 ტონა თამბაქო.

ჩინებული სტარტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით დაიწყეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის პირველი დღე.

ჩინებული სტარტი აიღო ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. პირველსავე დღეს დავალება გადაჭარბებით შეასრულეს № 2 სამსხმელო, საიარაღო-სატვიფრო და № 2 საწნეხმა საამქროებმა, რომლებსაც მ. შავლაყაძე, ს. ბარდაველიძე და მ. ჩარკვიანი უძღვებიან. ახალი წლის ანგარიშში ქართული ავტომობილები გაიგზავნა კიევში, დუშანბეში, ბაკოში, ნოვგოროდში, ჩელიაბინსკში, სარატოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

ახალი წლისათვის 1964 წელთან შედარებით 24 პროცენტით გადიდდა სატრაქტორო ქარხნის საწარმოო პროგრამა. ავტომშენებლები წარმატებით ართმევენ თავს გადიდებულ დავალებას. პირველი დღის დავალება მათ 115 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, ჩაის ბუჩქის სასხლავი აპარატები, სამთო გუთნები.

აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა 3 იანვარს დღიური დავალებით გამოუშვა 5 ათას მეტრზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი, აგრეთვე 500 კილოგრამი ნართი. ამ დღეს თავი გამოიჩინეს ხაქსოვი საამქროს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გ. კუტელაძე და შ. გრძელიძე უძღვებიან.

ახალი სამეურნეო წელი წარმატებით დაიწყეს აგრეთვე ელექტრომექანიკური, საკონსერვო ქარხნების, მაუდის, ბამბეულის საქსოვი, № 4 და № 8 სამკერვალო ფაბრიკებისა და „ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივებმა.

გეგმის გაღაჭარბებით

წალენჯიხის რაიონის მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები: ხორცისა — 100,7 პროცენტით, რძისა — 101,5 პროცენტით, კვერცხისა — 101,4 პროცენტით, — აცნობეს რედაქციას პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. კვარაცხელიამ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. კვარაცხელიამ**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ნ. სალიამ**.

ხუთწლედის პირველი წელი

ლაბგა 1966 წელი — ახალი ხუთწლედის პირველი წელი. იგი შემოვიდა საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი შრომის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე სახელოვან წარმატებათა პირობებში.

„დაე სამშობლოს კარი შემოაღოს 1966 წელმა—კეთილ საქმეთა და მიღწევათა მაცნემ, ახალი ხუთწლედის პირველმა წელმა, რომელიც მოაახლოებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებას“ — ასე მიმართეს საახალწლო მილოცვაში საბჭოთა ხალხს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ეს გულითადი მილოცვა მთელმა ჩვენმა სამშობლომ, მისმა მრავალეროვანმა მშრომელმა ხალხმა მიიღო როგორც შემოქმედებითი შრომისა და ბედნიერი ცხოვრების საპროგრამო მოწოდება.

ისტორიამ ჩაიბარა 1965 წელი. ის იყო ჩვენი საზოგადოების წარმატებით განვითარების, დაძაბული შრომისა და შემოქმედების, ახალ გამარჯვებათა და საქმეთა წელი. მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი სიყვარულით აღიგრძელა შრომითა და მისი უხვი ნაყოფით დახუნძლული გასული წელი, და ეს სიუხვე, 1965 წელს მოპოვებული ყველა გამარჯვება მძლავრ კვარცხლბეკად ჩაუდგა ახალი წლის ახალ გამარჯვებათა დიდ მონუმენტს, რომლის სწორუპოვარი მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი იქნება ჩვენი პარტიის XXIII ყრილობა.

საბჭოთა საქართველო ახალი ხუთწლედის პირველ წელს შეხვდა ძვირფასი და საპატიო ჯილდოთი მკერდდამშვენებული, ახალი შემოქმედებითი შრომისათვის აღფრთოვანებული. დღეს მის დროშას ამშვენებს ორი ლენინის ორდენი — საქართველოს შრომელთა დაძაბული და შემოქმედებითი შრომის მაღალი, საპატიო და დამსახურებული ჯილდო.

„კომუნისტის“ რედაქციაში ყოველდღე უამრავი წერილი მოდის ჩვენი რესპუბლიკის შრომელებისაგან. ისინი უდიდეს აღფრთოვანებას გამოთქვამენ შრომელიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებმაც ახუ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მოღვაწეობას და პირობას იძლევიან ხუთწლედის პირველ წელს კიდევ უფრო ენერგიულად იშრომონ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

ახალი, 1966 წელი იწყება საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი აღმავლობის პირობებში. წარმატებით დამთავრდა მრეწველობის შვიდწლიანი გეგმა. საამაყოა მისი შესრულების შედეგები. თითქმის ერთიორად გადიდდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. ამაღლდა და განვითარდა ჩვენი სოფლის მეურნეობა. უფრო აყვავდა საბჭოთა მეცნიერება და კულტურა. მტკიცედ გრძელდება კოსმოსის შტურმი. ამ სწორუპოვარი შტურმის ტრიუმფია ის, რომ პირველი ადამიანი, რომელიც კოსმოსური ხომალდიდან გამოვიდა ვარსკვლავთის სივრცეში, საბჭოთა ადამიანი იყო.

1966 წელი კვლავ ახალ წარმატებებს გვპირდება სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

მიმდინარე წლის უდიდესი მოვლენა იქნება ჩვენი დიდი პარტიის XXIII ყრილობა, რომელიც შეაჯამებს პარტიისა და ხალხის მიერ გაწეული დიდი შრომის შედეგებს, განსაზღვრავს შემდგომი მუშაობის ამოცანებს, დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს.

იმისათვის, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობას ღირსეულად შეხვდნენ, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია შემოქმედებითად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, ამავითვე საფუძველს უყრიან ახალი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებას.

წინ ნათელი პერსპექტივები, ახალი დიდი საქმეებია. მთავარი ამოცანები განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმით, რომელიც გასული წლის დეკემბერში უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო. ეს გეგმა ჩვენს ხალხს მიაჩნია იმის ახალ დადასტურებად, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის მთავარია ზრუნვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისაღვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. პარტიისა და მთავრობის ასეთი ზრუნვა ახალი წარმატებებისათვის აღფრთოვანებს და რაზმავს ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე მდგომ სახელოვანი შეიარაღებული ძალების მებრძოლებსა და მეთაურებს. ჩვენს სახელოვან ქალებს, შესანიშნავ ახალგაზრდობას, რევოლუციური ბრძოლებისა და შემოქმედებითი შრომის ვეტერანებს.

ახალი წლის მიჯნაზე თავიანთი განვითარებისა და მიღწევების სახელოვანი შედეგები შეაჯამეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. იზრდება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალები. დიდი გამარჯვებანი მოიპოვა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. საბჭოთა ხალხი მზურვალედ მიესალმება საერთაშორისო მუშათა კლასს, მთელი დედამიწის მშრომელებს, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ყოველ შამაც მებრძოლს.

ჩვენს დროში მოწინავე კაცობრიობას ძალუძს ალაგმოს იმპერიალისტი აგრესორები, თავიდან აიცილოს მსოფლიო ომი. ახალ წელს საბჭოთა ადამიანები, დედამიწის ყველა კეთილი ნების ადამიანები გაორკეცებული ძალით იბრძოლებენ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ქვეყანა მუდამ იყო და იქნება თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ერთგული დამცველი, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის თანმიმდევრული მებრძოლი.

ახალი წელი უკვე დაიბიჯებს ჩვენს პლანეტაზე. დაე იგი იყოს ყოველი საბჭოთა ოჯახისათვის, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ჯანმრთელობის, მჩქეფარე ენერგიის, შრომითი წარმატებებისა და დიდი ბედნიერების წელი. დაე იგი იყოს ხუთწლედის პირველი წლის ახალ დიდ და სახელოვან გამარჯვებათა წელი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 2 (13396) | სამშაბათი, 4 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის I კონფერენციას

ჰავანა

მხურვალედ მივესალმებით აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც რევოლუციური კუბის დედაქალაქში შეიკრიბნენ.

დღეს ჰავანისადმი მიპყრობილია იმპერიალისტური აგრესიის, კოლონიალიზმის ძალების წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ყველა მებრძოლის ყურადღება. საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან ოქვენს კონფერენციას იმის მტკიცე რწმენით, რომ იგი ხელს შეუწყობს ფართო მასების კიდევ უფრო შეკავშირებას, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოდიან სამ კონტინენტზე, და განამტკიცებს მათს საბრძოლო მეგობრობას სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან.

ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობლივ მოქმედებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში. ფართოვდება მასშტაბი სამხედრო აგრესიისა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ებრძვიან მთელ პროგრესულ ძალებს. კოლონიზატორები ჯერ კიდევ ჩაგრავენ აფრიკის, არაბული აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკის ბევრ ხალხს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სამხრეთ როდეზია რასისტულ დილეგებად გადააქციეს მილიონობით ადამიანისათვის. იმპერიალისტები თვითნებობას სჩადიან ლათინური ამერიკის ხალხების მიმართ. მათ განახორციელეს აშკარა ინტერვენცია დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. გრძელდება შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკა დასავლეთ ნახევარსფეროს პირველი სოციალისტური ქვეყნის — კუბის მიმართ.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის თავისუფლებისმოყვარე ხალხები მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად საკადრის პასუხს გასცემენ აგრესორებს, დაიცავენ ხალხთა დამოუკიდებლობასა და უშიშროებას, ნებას არ მისცემენ ნეოკოლონიალიზმს დამკვიდრდეს განთავისუფლებულ ქვეყნებში.

საბჭოთა ხალხი გადაჭრით გმობს იმპერიალისტთა თვითნებობას და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას და თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული ყოველი ღონისძიებით უწევს და აპირებს გაუწევს დახმარებას ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

იმპერიალისტები ცდილობენ ხელი შეუშალონ განვითარებად ქვეყნებს ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებაში, არ მისცენ საშუალება, რომ ძირეული სოციალური გარდაქმნები მოახდინონ ხალხთა მასების ინტერესებისათვის. თქვენი კონფერენციის გადაწყვეტილებანი ეკონომიურ პრობლემებზე, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობენ ბრძოლას ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. ეროვნული ეკონომიკის რაც შეიძლება სწრაფად განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, კვლავაც აქტიურად დაუჭერს მხარს განვითარებად ქვეყნებს, განამტკიცებს და გააფართოებს მათთან ყოველმხრივ, თანასწორუფლებიან თანამშრომლობას.

ჰავანის კონფერენციის მოწვევა დამაჯერებლად მოწმობს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ურყევ მისწრაფებას ერთობისა და შეკავშრებისადმი, მოწმობს რომ ისინი მზად არიან გადაჭრით, ერთად იბრძოლონ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, ხალხთა მშვიდობისათვის. სულით და გულით ვუსურვებთ კონფერენციას წარმატებებს მის ნაყოფიერ მუშაობაში სამი კონტინენტის ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს ხალხთა საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.
ა. კოსიგინი.

ა. ნ. კოსიგინი ტაშკენტში ჩავიდა

2 იანვარს მოსკოვიდან ტაშკენტში გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ ხანის სურვილის შესაბამისად, იგი მონაწილეობას მიიღებს ტაშკენტის შეხვედრაში.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ა. ნ. კოსიგინი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა კ. ტ. მაზუროვმა და დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ვ. ვ. დიმიჩევმა, მ. ტ. ეფრემოვმა, ვ. ა. კირილინმა, მ. ა. ლესეჩკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ი. ტ. ნოვიკოვმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. სემიჩასტნიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის მინისტრის მოადგილეებმა საბჭოთა კავშირის მარშლებმა ნ. ნ. ციტოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ინდოეთის რესპუბლიკის და პაკისტანის საელჩოთა დიპლომატიური თანამშრომლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან ერთად ტაშკენტში გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი, სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში მ. ვ. დეგტიარი, აგრეთვე მრჩეველთა და ექსპერტთა ჯგუფი. (საკდესი).

ტაშკენტი, 2 იანვარი. (საკდესი). ტაშკენტში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის მოჰამედ აიუბ ხანის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით დღეს აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და სხვა ოფიციალური პირები.

ლალ ბაჰადურ შასტრი ტაშკენტში ჩავიდა

ტაშკენტი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი.

შასტრისთან ერთად ტაშკენტში ჩამოფრინდნენ მისი თანმხლები ინდოელი სახელმწიფო მოღვაწეები.

ინდოელ სტუმრებს საბჭოთა უზბეკეთის მიწა-წყალზე გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვი, უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ა. ალიმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

მოჰამედ აიუბ ხანი ტაშკენტში ჩავიდა

ტაშკენტი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა პაკისტანის პრეზიდენტი მოჰამედ აიუბ ხანი.

იმავე თვითმფრინავით აქ ჩამოფრინდნენ მისი თანმხლები პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეები.

პაკისტანელ სტუმრებს ტაშკენტის აეროპორტში გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

ტბილისი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გულითადად ვულოცავ საქართველოს მშრომელებს დამსახურებულ ჯილდოს. ახალ წელს ვუსურვებ მათ წარმატებებს, კეთილდღეობას ყოველ სახლში, ყოველ ბინაში, ყველას ერთად და თითეულს ცალკე.

მიხეილ შოლოხოვი.

ბერლინი

შეხვედრაზე ბერლინში

ბერლინი, 3 იანვარი. (საკდესი). საშვებთა შესახებ შეთანხმების მოქმედების უკანასკნელ დღეს — 2 იანვარს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს ესტუმრა 70 ათასზე მეტი დასავლეთბერლინელი მცხოვრები. ამრიგად, საშვებთა შესახებ შეთანხმების მოქმედების მთელ პერიოდში 800 ათასზე მეტი დასავლეთბერლინელი ესტუმრა ნათესავებს დემოკრატიულ ბერლინში.

აი რა მოაქვს ახალ წელს დასავლეთ გერმანიაში.

ნახატი გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

მდგომარეობა ინდონეზიაში

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბოგორში გაიმართა ინდონეზიის მინისტრთა კაბინეტის პლენარული სხდომა. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, მთავარი საკითხი, რომელიც სხდომამ განიხილა, იყო საშინაო მდგომარეობის საკითხი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი გვატყობინებს, პრეზიდენტმა სუკარნომ თქვა, რომ ინდონეზიაში შეიქმნა უაღრესად რთული სიტუაცია და მოუწოდა ყველა ხელმძღვანელ მოღვაწეს შეწყვიტონ შეხლა-შემოხლა ასეთ მძიმე პირობებში.

ბონიდან საიგონში

ბონი, 3 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის მე-7 არმიის ნაწილების სულ უფრო მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი იგზავნება სამხრეთ ვიეტნამში, რათა მონაწილეობა მიიღოს ბრძოლებში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ჯარების წინააღმდეგ. დღეს გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ იმოწმებს ამერიკის მე-7 არმიის შტუტგარტის მთავარ შტაბს და იუწყება, რომ დღემდე დასავლეთ გერმანიიდან საიგონში გაიგზავნა ამერიკის არმიის ორი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დე გოლის განცხადება

პარიზი. ახალ წელს ყველა ხალხისა და ყველა სახელმწიფოს მიზანი მშვიდობა უნდა იყოს, განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა. დე გოლმა ეიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მიღებაზე. „ვერავითარი სამხედრო ძალა, — თქვა მან. — ვერ აღადგენს მშვიდობას იქ, სადაც დარღვეულია, მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის კონტაქტებს, თუ თითოეული მათგანი უარს იტყვის ყოველგვარ შეიარაღებულ ჩარევაზე თავიანთ საზღვრების გარეთ, შეიძლება მოპყვეს ისეთი გადაჭრა, რომელიც რეალური და გარანტირებული იქნება“.

ბოკასას ახალი მთავრობა

ბანგი, 3 იანვარი. (საკდესი). პოლკოვნიკმა ბოკასამ, რომელმაც გადააყენა პრეზიდენტი დავით დაკო, დღეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ახალი მთავრობა შექმნა. მთავრობა შედგება 9 კაცისაგან, მათ შორის სამი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის წინა მთავრობაში შედიოდა.

მაღალი ჯილდოს ფასუნაკად

გულითადი მილოცვები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო უდიდესი კმაყოფილების გრძნობით არის აღვსილი ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის გული. სიხარულმა, აღტაცებამ, მადლიერების გრძნობამ თითქოს ფრთები გაშალა და დეპეშების, წერილების სახით უწყვეტ ნაკადად დაიძრა. „კომუნისტის“ რედაქციაში დეპეშები და წერილები მოდის სამრეწველო ცენტრებიდან, ბარაქიანი ველ-მინდვრებიდან. მადლობის გრძნობით გვწერენ მეტალურგები და მანქანათმშენებლები, ქიმიკოსები და მეშახტეები, ფეიქრები და მეჩაიეები, მემინდვრეები და მევენახეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. ისინი მზურვალე გულითად მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საპატო ჯილდოსათვის.

მართლაც უსაზღვროა სიხარული და აღმაფრენა. ახლა საქართველოს დროშაზე ორი ლენინის ორდენია! ამ დიდი მოვლენის გამო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედე მ. კიკვიძე გვწერს:

„გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მიხდა გულითადი მადლობა გადავუხადო კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების თავდადებული შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. ჩვენ, რუსთაველმა მეტალურგებმა, ვადაზე რამდენიმე თვით ადრე შევასრულეთ შვიდწლედის დავალებანი და ამით ჩვენი წვლილი შევიტანეთ რესპუბლიკის საერთო წარმატებაში“.

წალენჯიხის რაიონის ჯვარის ჩაის ფაბრიკის დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის მ. კვარაცხელიას დეპეშაში ნათქვამია:

„ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მივულოცო საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ეს მაღალი ჯილდო უკეთესი მუშაობისათვის გვრაზმავს. გაკამრავლებთ წარმატებებს, რათა სახელოვნად შეხვდეთ სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას“.

ზესტაფონის კაბელის ნაკეთობათა ქარხანა „საკაბელის“ დირექტორი **დ. კუზიანიძე** გვწერს:

„დიდად გაგვაბარა საქართველოს რესპუბლიკის ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოების ცნობამ. ქარხნის მთელი კოლექტივი აღფრთოვანებულია. ჩვენი ქარხნის წლიური დავალების შესრულებაც ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას დაემთხვა. 1965 წლის 29 დეკემბრიდან ქარხანა 1966 წლის ანგარიშში მუშაობს“.

მილოცვისა და გულითადი მადლობის წერილები და დეპეშები გამოგზავნეს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაღის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. უბიაშვილმა**, ძველი ახაშის ძერეონსკის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგემ **ო. კორძაიამ**, წალენჯიხის რაიონის მთავარმა ექიმმა **ვ. კვარაცხელიამ**, **დიდი ბუონის** ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, **ხხორეოსუს** რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლებმა და სხვებმა.

ასეთი დეპეშები და წერილები განუწყვეტლივ მოდის. მარტო 31 დეკემბერსა და 1 იანვარს ფილით 227 დეპეშა და წერილი მოვიდა „კომუნისტის“ რედაქციაში.



ა. ნ. კოსიგინი ტაშკენტში ჩავიდა

2 იანვარს მოსკოვიდან ტაშკენტში გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ ხანის სურვილის შესაბამისად, იგი მონაწილეობას მიიღებს ტაშკენტის შეხვედრაში.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ა. ნ. კოსიგინი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა კ. ტ. მაზუროვმა და დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ვ. ვ. დიმიჩევმა, მ. ტ. ეფრემოვმა, ვ. ა. კირილინმა, მ. ა. ლესეჩკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ი. ტ. ნოვიკოვმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. სემიჩასტნიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის მინისტრის მოადგილეებმა საბჭოთა კავშირის მარშლებმა ნ. ნ. ციტოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ინდოეთის რესპუბლიკის და პაკისტანის საელჩოთა დიპლომატიური თანამშრომლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან ერთად ტაშკენტში გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი, სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში მ. ვ. დეგტიარი, აგრეთვე მრჩეველთა და ექსპერტთა ჯგუფი. (საკდესი).

ტაშკენტი, 2 იანვარი. (საკდესი). ტაშკენტში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის მოჰამედ აიუბ ხანის მომავ

საერთაშორისო ცხოვრება

სოლიდარობის წელიწადი

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 3 იანვარი. (საკდესი). „სოლიდარობის წელი“ უწოდა რევოლუციის ახალ, მერვე წელს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოთქვა ჰავანაში მშრომელთა ხალხმრავალ მიტინგზე.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა: ამ დღესასწაულზე ტრადიციისამებრ ვაჯამებთ რევოლუციის წლების მიღწევათა შედეგებს. გასული წელი განსაკუთრებით წარმატებითი იყო. დიდი გარდაქმნები განვახორციელეთ ადმინისტრაციულ აპარატში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უველა მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციის მუშაობა, გაძლიერდა რესპუბლიკის ეკონომიკის მუშაობის კონტროლი და ორგანიზაცია.

პრემიერ-მინისტრმა კვლავ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კუბამ განამტკიცოს თავდაცვა, რადგან მას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მუდმივი საფრთხე მოელის.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა სოფლის მეურნეობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ გასულ წელს, მიუხედავად ამინდის განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობებისა — ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლები წვიმებისა, — დიდი წარმატებებია მიღწეული კუბის ეკონომიკის ამ მთავარ დარგში, განსაკუთრებით შაქრის ლერწმისა და სხვა კულტურების გაშენებაში. შაქრის წარმოება მომავალ წელს მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა ამინდის ცუდი პირობების გამო ვერ მიაღწევს დასახულ ციფრს — 6,5 მილიონ ტონას, ხაზი გაუსვა ფიდელ კასტრომ.

პრემიერ-მინისტრი მთელი კუბელი ხალხის სახელით მიესალმა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენციის დელეგატებს. მან ხაზი გაუსვა, რომ უველა მებრძოლ ხალხს მუდამ შეუძლია ჰქონდეს კუბის უეჭველი და მტკიცე დახმარების იმედი.

მთავარია გამოინახოს თითოეული ხალხის ბრძოლის სწორი გზა. ეს შეუძლია, თქვა ფიდელ კასტრომ, მხოლოდ თვით ამ ხალხს. და კონფერენცია მთ უფრო წარმატებითი იქნება, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, რაც უფრო მეტი მისი მონაწილე საკუთარი კრიტერიუმებით მიუდგება განსახილველ პრობლემებს.

ზეიმი ჰავანაში

ჰავანა, 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ კუბელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ამერიკის კონტინენტზე მომხდარი პირველი სოციალისტური რევოლუციის მე-7 წლისთავი.

დღესასწაულის ცენტრი ტრადიციისამებრ იყო ჰავანის ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანი.

ტრიბუნებზე იყვნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენციის დელეგატები, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის შ. რ. რაშიდოვის მეთაურობით.

სამხედრო პარადის შემდეგ მოედანზე შეიკრიბა ათასობით ადამიანი. მათ სიტყვით მიმართა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

ხო ში მინის წერილი ჰავანის კონფერენციისადმი

ჰანოი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა წერილი გაუგზავნა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენციას, რომელიც დღეს ჰავანაში იხსნება.

აგრესიული ომი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ვიეტნამში აწარმოებენ, აღნიშნულია ერძოდ, წერილში, იმპერიალისტ აგრესორთა ყველაზე სასტიკი და ბარბაროსული აქტების ტიპიური მაგალითია. მაგრამ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ომი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ და მოიპოვოს ახალი უფრო დიდი გამარჯვებები. ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ სოციალისტური ქვეყნების ხალხები, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები, აგრეთვე მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობა, მათ შორის პროგრესულად განწყობილი ამერიკელებიც.

ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ეყრდნობა თავის შეიარაღებულ ძალებს და მთელი მსოფლიოს ხალხთა მხარდაჭერას, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ და „უეჭველად მიაღწიეს სრულ გამარჯვებას.

სამი კონტინენტის კონფერენციას, რომელიც ახლა იხსნება გმირ კუბაში, წერს ხო ში მინი, უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

გულითადი მისალმება

ულან-ბატორი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც მონგოლეთის საგაზეთო იუწყება, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა წერილი გაუგზავნა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენციის თავმჯდომარეს. წერილში ი. ცედენბალი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით გულითადად მიესალმება კონფერენციის მონაწილეებს და დიდ წარმატებებს უსურვებს მუშაობაში.

3 იანვარს კუბის დედაქალაქ ჰავანაში გაიხსნა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენცია.

სურათზე: ჰავანის ერთ-ერთი ქუჩა.

ფოტო ტ. ანანიანისი. (აას).

ვლგოვარეობა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში

ბანგი. 1 იანვარს ღამით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ამას იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბანგიდან.

ძალაუფლება ხელთ იგდო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა პოლკოვნიკმა ბოკასამ.

პოლკოვნიკმა ბოკასამ განაცხადა, რომ „არმიამ ხელთ აიღო ძალაუფლება. დაგირებული კლასი, — განაცხადა მან. — დაიწყო ყველა მოქალაქის თანასწორობის ახალი ერა“.

ბოკასამ გამოაცხადა, რომ დათხოვა ეროვნული კრება. პოლკოვნიკმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ შექმნის „ძლიერ და სტაბილურ მთავრობას“, მაგრამ ზუსტად არ უთქვამს ორდის შეიქმნება ეს მთავრობა. ბოკასამ განაცხადა, რომ დაპატიმრებულია დამხობილი მთავრობის სამი მინისტრი, მაგრამ არ დაასახელა ისინი იმ სახებით, რომ „გრძელდება წმენდის ოპერაცია“.

ბოკასოვნიკი ბოკასა შეეხო თავისი მთავრობის საგარეო პოლიტიკას და დაადასტურა, რომ პატივისცემით მოეკიდებიან უიახო სახელმწიფოებთან დადებულ ყველა შეთანხმებას.

მთვარის კალენდარი

კოლომბო. მიუხედავად კვირადღისა, 2 იანვარს ცეილონში სამუშაო დღე იყო. აქ ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომლის შესაბამისად დასვენების დღეები იქნება ეგრეთწოდებული „პოიას“ დღეები, ანუ მთვარის გარკვეულ ფაზებთან დაკავშირებული დღეები. ცეილონის მოსახლეობა მთვარის კალენდრით სარგებლობდა, სანამ კუნძულს დაიპყრობდნენ ინგლისელ დამონებელნი.

ამერიკელები იყენებენ მომწავლელ გაზს

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). საიგონის დასავლეთით მდებარე რაიონში სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის დროს ამერიკის საჰაერო-სადესანტო ჯარებმა 2 იანვარს გამოიყენეს ძლიერმოქმედი მომწავლელი გაზი, რომელიც ვიერტნამში გაიგზავნა ომის „ბინძური“ ტანსაცმლის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. საბჭოთა კავშირს ეს მოლაპარაკება სურს მხოლოდ იმიტომ, რომ სურს საყოველთაო მშვიდობა“.

ფასტრის გამოსვლა

დელი, 3 იანვარი, (საკდესი). ინდოეთის პრემიერ - მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ გუშინ დელიში განაცხადა, რომ აიუბ ხანთან მომავალი შეხვედრის დროს ტაშკენტში იგი მოუწოდებს პაკისტანის პრეზიდენტს „ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეუძლებელი გახდეს ორ ქვეყანას შორის შეიარაღებული კონფლიქტის განახლება“.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვა წარმოთქვა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წევრების წინაშე, რომლებმაც მის პატივსაცემად დარბაზობა გამართეს და აღნიშნა, რომ ინდოეთსა და პაკისტანს შორის მშვიდობის დამყარების გზაა დაიდოს „თავდაუსხმელობის პაქტი, მგზავრობის ხელშეკრულება ან სხვა რაიმე შეთანხმება“. თუ განხილვის დროს ორივე მხარე ვერ გადაწყვეტს მთავარ პრობლემებს, თქვა მან, ისინი უნდა შეეცადონ გადაწყვიტონ თუნდაც პატარა საკითხები.

შასტრიმ განაცხადა, ძალლონეს არ დაეზოგავ იმისათვის, რომ მივაღწიოთ მშვიდობას ნახევარკუნძულზეო.

პრემიერ-მინისტრ მ ა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მათ ინდოეთ-პაკისტანის უთანხმოებანი გადაეჭრათ მოლაპარაკების გზით და ხაზგასმით აღნიშნა, „საბჭოთა კავშირს მტკიცედ სწამს სხვადასხვა სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. საბჭოთა კავშირს ეს მოლაპარაკება სურს მხოლოდ იმიტომ, რომ სურს საყოველთაო მშვიდობა“.

ჩვენ გვჭირდება მშვიდობა

ყარაჩი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც პაკისტანის პრესის საგენტო იუწყება, 1 იანვარს რადიოთი გამოვიდა პაკისტანის პრეზიდენტი მოჰამედ აიუბ ხანი. მან დიდი ყურადღება დაუთმო პაკისტანისა და ინდოეთის ურთიერთობას. აიუბ ხანმა ხაზგასმით აღნიშნა, „ინდოეთს სჭირდება მშვიდობა, პაკისტანსაც ეგრეთვე სჭირდება მშვიდობაო“.

შეეხო რა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ შასტრისთან მომავალ შეხვედრას ტაშკენტში, პაკისტანის პრეზიდენტმა თქვა: „ტაშკენტში ღია გულით მივდივარ. ჩვენ გულწრფელად და პატიოსნად ვიმსჯელებ. ჩვენ გვსურს მდგომარეობის მოწესრიგება, მაგრამ ეს პატიოსანი და საპატიო მოწესრიგება უნდა იყოს, ვისურვებდი ეგრეთვე, რომ იქ განვიხილოთ ყველა უთანხმოება ინდოეთსა და პაკისტანს შორის... ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ ყველა დავის გადაწყვეტას სამართლიან და საპატიო საფუძველზე და ვიცხოვრებთ, როგორც კეთილი მეზობლები.

პრემიერმა კოსიგინმა უკვე დაიმსახურა ჩვენი მადლობა იმით, რომ შემოგვთავაზა კეთილი სამსახური, რათა ხელი შეეწყო ინდოეთისა და პაკისტანის უთანხმოებათა მოწესრიგებისათვის“.

ახალ გზაზე

ზანზიბარი. ზანზიბარის მთავრობამ გამოაცხადა კერძო პირთა კუთვნილი შვიდი პლანტაციის ნაციონალიზაცია.

1964 წლის იანვრის სახალხო რევოლუციის შედეგად კუნძულების მთელი მიწა სახელმწიფოს საკუთრებად გადაიქცა. მაგრამ მსხმოიარე ხეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითად სასაქონლო პროდუქციას, კერძო მფლობელთა საკუთრებად დარჩა.

ზანზიბარის რევოლუციური მთავრობა ახორციელებს პლანტაციათა ნაციონალიზაციის პოლიტიკას.

სანქარი სიტკაში

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). ხანძარმა, რომელიც გუშინ გაჩნდა სიტკაში (ალასკის შტატი), გაანადგურა ქალაქის საქმიანი რაიონის დიდი ნაწილი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იტყობინება, დამწვარ შენობათა შორის არის მიხეილის მართლმადიდებლური ტაძარი, რომელშიც რუსული ხატების მდიდარი კოლექცია იყო.

დაქირავებულნი მიემგზავრებიან

პარიზი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრმა 70-ზე მეტმა დაქირავებულმა, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ კონგოს „უცხოელთა ლეგიონში“ მსახურობდნენ, ხელი მოაწერა კონტრაქტებს იმის შესახებ, რომ სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნონ „ჯუნგლებში ომის“ წარმოების ექსპერტებად. ამას იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი. დაქირავებულთა — „ჯუნგლებში ომის“ წარმოების ექსპერტთა“ პირველი პარტია უკვე გაფრინდა ევროპაში.

პროვოკაციები

2 იანვარს ამერიკის ავიაგამანადგურებლებმა რამდენიმე ჯგუფი არაერთხელ შეიჭრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში დაზვერვითი და პროვოკაციული მიზნებით. ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ მტკიცე პროტესტი გაუგზავნა საერთაშორისო კომისიას. (საკდესი).

ამერიკელები მომწავლელ გაზს

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). საიგონის დასავლეთით მდებარე რაიონში სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის დროს ამერიკის საჰაერო-სადესანტო ჯარებმა 2 იანვარს გამოიყენეს ძლიერმოქმედი მომწავლელი გაზი, რომელიც ვიერტნამში გაიგზავნა ომის „ბინძური“ ტანსაცმლის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. საბჭოთა კავშირს ეს მოლაპარაკება სურს მხოლოდ იმიტომ, რომ სურს საყოველთაო მშვიდობა“.

პატრიოტები უტევენ

პარიზი. ფრანს პრესის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა 2 იანვარს იერიში მიიტანეს და ხელთ იგდეს დიდმნიშვნელოვანი საგუშაგო—კუნგნგაის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის გარეუბანი.

საგანგებო წესები ზემო ვოლტაში

ლომე, 3 იანვარი. (საკდესი). ზემო ვოლტის რესპუბლიკაში შემოიღეს საგანგებო წესები. აკრძალულია ყველა პოლიტიკური, საზოგადოებრივი, პროფკავშირული მიტინგი და კრება, აგრეთვე დემონსტრაციები. პროფკავშირული გაფიცვა, რომელიც დღეს უნდა გამართულიყო, უკანონოდ გამოაცხადეს. როგორც ზემო ვოლტის რადიო იუწყება, ეს საგანგებო წესები შემოიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ ზემო ვოლტაში „გამომეღვიძა შეთქმულება“.

ზემო ვოლტის პრეზიდენტმა მორის იამეოგომ, რომელიც რადიოთი გამოვიდა, განაცხადა, რომ შეთქმულებას ხელმძღვანელობდა ეროვნული კრების ყოფილი თავმჯდომარე ეოზეფ უედრაოგო. უედრაოგოს, რომელსაც აგრეთვე ზემო ვოლტის დედაქალაქის მერის პოსტი ეკავა, პოლიცია ეძებს. როგორც იამეოგო ამტკიცებდა, უედრაოგომ „ლალატში ჩაიფრინა ზოგიერთი მუშა, რომლებსაც სურთ დაარღვიონ წესრიგი ზემო ვოლტაში“. ზემო ვოლტის პრეზიდენტმა მოუწოდა მოსახლეობას ენდოს არმიას, რომელიც სულაც არ აპირებს იარაღი დაყაროს.

ჯერ კიდევ ლასაველეთის ერთიანობაზე...



ბულგარულ გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოდან“.

ნახატი გ. ანასტასოვისა.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. მ. პ. ბაღათურიას
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საუოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე ამხ. მიხეილ პოროფილეს-ძე ბაღათურია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ა. ი. ჩარკვიანის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების მესტიის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე ილიასძე ჩარკვიანი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. მ. ს. ებრალიძის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
ინდუსტრიალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ მთავარი ინჟინერი ამხ. მირიან სილოვანის-ძე ებრალიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრ ძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. მ. უ. სარქისიანის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მათევოს უანანის-ძე სარქისიანი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ი. ვ. თანდილავშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. ივანე ვასილის-ძე თანდილაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ვ. ვ. ტაგანავშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის № 131 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ამხ. ვიქტორ გიორგის-ძე ტაგანავშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. თ. ზ. ლეშავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ. თამარ შერბაკოს ასული ლეშავა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე
თბილისი,
1965 წლის 30 დეკემბერი.

მკითხველი გვთავაზობს, გვეხმაურება

„კომუნისტის“ მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო! ახალი, 1966 წლის კალენდრის პირველი ფურცლები უკვე გადავშალეთ. ჩვენს სარედაქციო ფურნალში ჩაიწერა პირველი გვარები და მისამართები იმ ადამიანებისა, ვინც საბჭოთა საქართველოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მოულოცა, რედაქციის კოლექტივს ახალი წელი მოულოცა და წარმატებები უსურვა, ახალი თემები, ლექსები, მოთხრობები, კორესპონდენციები, შეკითხვები მოაწოდა.

იციან ჩვენმა ადამიანებმა პრესის ჭეშმარიტად კოლოსალური ძალა. მათ საბჭოთა პრესა მიაჩნიათ თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების, ფიქრებისა და მისწრაფებების გამომხატველად ამიტომ იყო, რომ 1965 წელს „კომუნისტის“ გარშემო შემოიკრიბა ბევრი ახალი აქტივისტი, მკითხველი... შარშან 1965 წელს, რედაქციამ თქვენგან, მკითხველებისაგან, მიიღო 33.901 წერილი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ უკანასკნელ ხუთ წელიწადში როგორ გაიზარდა რედაქციაში მოსული წერილების რაოდენობა, მოვაწოდით ერთი შეხედვით მშრალ, მაგრამ მრავალისმთქმელ ციფრებს:

1961 წელს „კომუნისტმა“ მიიღო 13.711 წერილი, კორესპონდენცია, ფოტოილუსტრაცია, 1962 წელს — 20.953, 1963 წელს — 21.261, 1964 წელს—24.597, ხოლო 1965 წელს — როგორც მოგახსენეთ, „კომუნისტში“ მოსული წერილების რაოდენობამ 33.901 მიაღწია.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, ჩვენო მკითხველებო, ჩვენს გაზეთში აქტიური მონაწილეობისათვის 1965 წელს.

გვწამს და იმედი გვაქვს, რომ თქვენი წერილებისა და კორესპონდენციების ნაკადი „კომუნისტში“ კიდევ უფრო გაიზრდება ახალ, 1966 წელს.

ველით თქვენგან, ძვირფასო მკითხველებო, ახალ წერილებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების საინტერესო, საჭირბოროტო საკითხებზე, თქვენს კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს შრომაში, ჩვენო მკითხველებო, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო!

„კომუნისტის“ რედაქცია.

კალე გოგოხიძე

სიკეთის მთესველს

გაისმა საათის რეკვა,
ჩამოდნა გასულ წლის ღამე,
ცისკარმა კამარა შეკრა,
გაბრწყინდა ნაძვის ხე მწვანე.

მოვიდა ახალწლის დილა,
ვით მეკვლე ყოველის კარგის;
სამშობლო ამღერდა ტკბილად,
ამღერდა პოეტის ჩანგიც.

სალამი სიკეთის მთესველს!
ჰქუხს ხალხი — მშვიდობის
მდომი,
მოითხოვს — მოისპოს დღესვე
სისხლისღვრა, რბევა და ომი!

წინ იარ, მძებნელო მართლის,
სიკეთის საათი რეკდეს!
შენს გზაზე სვეტი დგას ნათლის,
შენა ხარ ახალწლის მეკვლე!

ხალხის სამსახურში

1965 წლის მანძილზე ჩვენი კლინიკა განაგრძობდა მუშაობას ოტოსკლეროზის დროს სმენის აღსადგენი ოპერაციების გაუმჯობესებაზე. ამასთან ვამუშავებდით მენიერის ავადმყოფობის პრობლემას. შიგნითა ყურის ამ დაავადების დროს პეროიდულად ავადმყოფს აქვს ძლიერი თავბრუს შეტევები და პროგრესულად უქმეითდება სმენა. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების დროს მივმართავთ ქირურგიულ მეთოდებს. არის ისეთი ოპერაციები, რომლის შემდეგაც ავადმყოფს თავბრუს შეტევა აღარა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ეკარგება სმენა.

გასულ წელს ჩვენ შევიმუშავეთ და პრაქტიკულად წარმატებით განვახორციელეთ მენიერის ავადმყოფობის დროს შიგნითა ყურის ორმომენტიანი ოპერაცია, რომლის დროსაც სმენა არ იკარგება. შედეგები იმდენად სანუგეშო აღმოჩნდა, რომ ახალი მეთოდის შესახებ მოგახსენე ოტორინოლარინგოლოგთა VIII საერთაშორისო კონგრესს, რომელიც შარშან ოქტომბერში გაიმართა ტოკიოში.

ახალ წელს განაგრძობთ კვლევას სმენის აღსადგენი ქირურგიის დარგში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შუა ყურის ქრონიკული ჩირქოვანი ანთების დროს სმენის გაუმჯობესების მეთოდების შემუშავებას. როგორც ცნობილია, ამ დაავადების დროს ძალიან ქვეითდება სმენა. არსებობს ისეთი მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან გავუუმჯობესოთ სმენა გარკვეული კატეგორიის ავადმყოფებს, რომლებსაც აქვთ შუა ყურის ქრონიკული ანთება, მაგრამ ეს მეთოდები ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის. ძალიან ხშირად ოპერაციები სასურველ შედეგს ვერ იძლევიან.

ჩვენი დაკვირვებების შედეგები განზოგადდება ჩემი მონოგრაფიის „სმენის აღსადგენი ქირურგიის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ მეორე გამოცემაში, აგრეთვე ჩემს და კლინიკის თანამშრომლების სხვა ნაშრომებში.

ს. ხეჩინაშვილი.

ლენინური პრემიის ლაურეატი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიური კლინიკის გამგე.

გულით ნათქვამი

ბაზეთ „კომუნისტის“ გასული წლის 16 დეკემბრის ნომერში რედაქციამ სთხოვა თავის მკითხველებს გამოეგზავნათ წერილები [illegible] საინფორმაციო ცნობები იმ ადამიანთა შესახებ, [illegible] სახალხო დოვლათის სიუხვისათვის ბრძოლაში.

რედაქციის თხოვნამ მკითხველთა ფართო გამოძახილი გამოიწვია.

— **ვალმოხდილნი და ჩვენი დიადი სამშობლოს მიღწევების გამო სიამაყის გრძნობით აღსავსე შევხვდით ახალ, სასიქადულო გამარჯვებათა მაუწყებელ 1966 წელს ზესტაფონელი მეტალურგები,** — გვწერს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ცვლის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ბ. მელქაძე,** რომელიც გვატყობინებს, რომ მარტო მისი ცვლის კოლექტივმა შარშან ლითონის გამოდნობის წლიური დავალების შესრულებასთან ერთად კარგა ხნის წინათ შეასრულა შვიდწლედის გეგმა.

— **გიგზავნით გამარჯვების პაპაკს,** — გვწერს ცხაკაიის ავტოსატრანსპორტო კანტორიდან ამხ. **ა. ქარჩავა,** — **ჩვენი კანტორის კოლექტივის, უწინარესად კი მოწინავე მძღოლების — ლ. ნადარეიშვილის, გ. ესებუას, ნ. ბუნწარიას, ს. ლემონჯავას, ფ. ჯავახიას, ნ. ლოკბიონოვისა და შ. ჯავახიას წარმატებების შესახებ. ჩვენმა კოლექტივმა სამშობლოს 1965 წელს მისცა 23.700 მანეთი მოგება, 14 ათასი ლიტრი საწვავის ეკონომია.**

პიოტრელ მაღაროელთა პატრიოტული შრომის შექმნისადმი მიძღვნილი წერილთა შორის დასტა, რომელშიც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარგანეცის მტვირთავი მემანქანის **ა. დვალაშვილის,** პერევისის მაღაროს მეხუთე უბნის მებიგის **ა. ხარაიშვილის,** დმიტროვის სახელობის მაღაროს ამწყობლის **პ. გოგატიშვილის,** ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პირველი უბნის გამგის **ა. კენჭიშვილის,** რკინიგზის სადგურის დისპეტჩერის **შ. სუქნიძის** წერილები.

1965 წელს ტყიბულელმა მეშახტეებმა მრავალი ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს. სახელი და დიდება საქართველოს მეშახტეებს. მათს შესახებ გვწერენ ტყიბულიდან დასავლეთის შახტის მეხუთე უბნის უფროსი **მ. ვერულაშვილი,** იმავე შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გრ. ჭიკაბერიძე,** ლენინის სახელობის შახტის ელექტრომემანქანე **გ. არაბიძე,** იმავე შახტის ცვლის უფროსი **რ. წიწილაშვილი,** ვენტილაციაზე მომუშავეთა ცვლის უფროსი **ნ. ქაშობაძე,** წმენდითი სანგრევის მუშა **ა. ვარდოსანიძე** და სხვ.

რუსთავის ქიმკომბინატი მთელ ქართველ ხალხს ეულოცავთ რესპუბლიკის დროშის ლენინის მეორე ორდენით დამშვენებას, — გვწერს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შონია — მტკიცე დაპირებას ვიძლევთ, რომ ახალი წარმატებების მოპოვებით შეეხვედრით სკკპ XXIII ყრილობას.

...წერილების ნაკადს შესუსტება არ დასტყობია. წრფელი გულით, სალი გონებით, სამშობლოს სიყვარულით ნაკარნახევ სტრიქონებს გვწერენ ჩვენი მშრომელნი.

მეგობრები

მაგიდას ხუთნი უსხედან — ანტონინა, ოთარი, გოგი, ნელი, ლადო.

— არა, სწორად არ მოვიქეცით, — ამბობს ანტონინა, — თქვენ უნდა მოსულიყავით ჩემთან. თქვენ ხომ სტუმრები ხართ ჩვენი! მაგრამ ოთარმა რომ მითხრა, ახალწელს ჩვენთან უნდა შეხვედრო, ისე გამიხარდა, ყველაფერი დამავიწყდა. ჩვენ ხომ ძალზე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. მე კი ყოველთვის მოუთმენლად მოველი თქვენს ნახვას. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, თქვენ, ოთარ, და თქვენც, ყმაწვილებო. სიამოვნებით ვიგონებ ხოლმე თქვენთან გატარებულ დღეებს. ამ საღამოს ნელიც გავიცანი. იცით, ნელი, როგორ მომწონხართ? არა, არა, ნუ იცინით, მართალს გეუბნებით! როგორც კი შემოვედი და თქვენი გაღიმებული სახე დავინახე, მაშინვე ვიგრძენი, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხართ...

ნელი ყურადღებით უსმენს. აი თუმცა როგორი ყოფილა ანტონინა ლაპინა! რამდენი სმენია მასზე გოგისა და მისი მეგობრებისაგან. რა შშვენიერი ქალია! რამდენი წლისა იქნება? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს კარგი ქალისათვის წლოვანებას? იდენისაა, რამდენისაც ჩანსო, უთხრა გოგიმ.

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, პატივცემულო ანტონინა, ჩვენს საერთო საქმეს! — მოიღო სადღეგრძელოს ამბობს ოთარი, — გისურვებთ თქვენ და ჩვენს თავსაც, რომ გაისად ყველა ავადმყოფობა მოგესპოს ქვეყნად, რომ ჩვენ, ექიმები აღარავის დაგჭირდეთ.

— შეიძლება გავაგრძელოთ? — კითხულობს ანტონინა, აი მაშინ მე ჩამოვალ საქართველოში და ჩვენ ერთად ვიზეიმებთ ამ შესანიშნავ მოვლენას.

— არ შეიძლება ცოტა ადრე ჩამოხვიდეთ? — სიცილით კითხულობს ნელი.

— რასაკვირველია, უფრო ადრეც უნდა ჩამოხვიდეთ, თქვენ ხომ დაგჭირდით!

— ჩამოვალ, ჩემო კარგებო, უეჭველად ჩამოვალ!

— ახლა კი მეგობრობის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, ჩემო კარგებო, — აგრძელებს ოთარი თამადობას და ჭიქას ხელში იღებს. თქვენი სახით, ძვირფასო ანტონინა, მინდა ყველა ჩვენი რუსი მეგობარი ვადღეგრძელო.

— მე კი მინდა ჩემი ქართველი მეგობრების სადღეგრძელო შევსვა, — სიტყვას ირთმევს ანტონინა, — მე ბევრი ქართველი მეგობარი მყავს. საქართველოში რომ ვიყავი, ანიკოს მეძახდნენ. გვარიც კი გადამიკეთეს — ლაპინი ლაპიაშვილიაო, მითხრეს. ეს თქვენი სადღეგრძელოც არის, ჩემო კარგებო. თქვენც ხომ ჩემი მეგობრები ხართ.

ანტონინა ტუჩებს ოდნავ აკარებს ჭიქას, მაგიაზე დგამს და წუთით ყურადღება. შემდეგ რაღაც ახსენდება.

— იცით, ერთი ქართველი მეგობარი მყავდა. შეიძლება იცნობდეთ, აკაკი თელია, ექიმი...

— როგორ არა, — სიტყვას აწყვეტინებს ლადო, — კოკი, ჩვენი კოკი. ფიფიასთან მუშაობს. შესანიშნავი ადამიანია, კარგი ქირურგი.

— ჰოდა, მე და აკაკი ხუთი წელიწადი ერთად ვიყავით ფრონტზე. ერთ ჰოსპიტალში ვმუშაობდით. ერთი ქირურგიული განყოფილების გამგე მე ვიყავი, მეორისა — ის, რომ იცოდეთ რა გადავიტანეთ იმ ქარიშხლიან დღეებში. მოგონებაც მიმძიმს. მუდამ ერთად ვიყავით, ერთმანეთის პირ-ეარამს ვიზიარებდით, სიხარულს ვინაწილებდით. და ეჩხუბობდით. ღმერთო, რა ხშირად ეჩხუბობდით! მაგრამ ეს გასაგებია. ჩვენ ხომ კარგი მეგობრები ვიყავით.

აი ერთხელ, მახსოვს, რომელიღაც ქალაქში შევედით. ქალაქი-მეთქი, ვამბობ. ქალაქი კი არა, ნაქალაქარი იყო. სასწრაფოდ ჰოსპიტლის მოწყობა დაგვავალეს. ჩემი ბიჭები მაშინვე სადღაც გაქერნენ და ამბავი მოიტანეს, აქა და აქ სანდო პუნქტზე გამომიძახეს. თან გავიყოლე რედაქციის ლიტმუშაკი ზ. თოდრია. პოლკოვნიკმა სელიხოვმა მიბრძანა მომემზადებინა რედაქცია, და, როგორც კი მტერი განდევნილი იქნებოდა უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტიდან, მეორე ეშელონის სხვა ნაწილებისათვის არ დამეცადა, და ჩემი „მეურნეობით“ გადავსულიყავი განთავისუფლებულ მოზდოცში.

ღამის მეათე საათზე გამოვბრუნდით უკან. ჩვენები განაგრძობდნენ მტრის შევიწროებას. განუწყვეტელ უშენდნენ საარტილერიო ცეცხლს მოწინააღმდეგეს. მათ მართლაც ჩაუშლამეს ჰიტლერელებს „საახალწლო ნადიმი“. მტრის მხარეს გასროლილ ჭურვებს გაკეთებული ჰქონდათ წარწერები: „ჰიტლერს — საახალწლო საჩუქრად“, „გერინგს“... „გებელსს“... არც გერმანელები რჩებოდნენ ვალში. ისინიც მეთოდურად უშენდნენ ნაღმსატყორცნის ცეცხლს ჩვენს ზურგში. სახიფათო იყო საფრონტო გზებზე უდროო დროს სიარული ოფიცრებმა ერთმანეთს მიეულოცეთ ახალი წელი, გადადგებივით ერთიმეორეს და მობადაგებული ჩამიჩიით ჩავიტკბარუნეთ პირი.

— ეს ჩვენი გამარჯვებისა იყოს, ბიჭებო, ჩვენს ოჯახებსაც გაუმარჯოს მთელი უჭულბუჭულებისანად! — წარმოთქვა პირველი სადღეგრძელო საინტენდანტო სამსახურის უმცროსმა მეთაურმა კოლა მთვარელიშვილმა.

სადღეგრძელო ჯერ ჩამოთავებული არ იყო, რომ გარედან გუშაგის ხმა მოისმა:

— შეჩერდი! ვინ მოდის?

უფროსი ლეიტენანტი თოდრია გარეთ გავიდა. მალე იგი 1367 პოლკის ექიმს ნიკოლოზ კაიშაურს შემოუძღვა. მას აღელვება ემჩნეოდა.

— ვერა ვარ კარგის მახარობელი, — შემოსვლისთანავე მოგვმართა ექიმმა, — სანიტარულ ნაწილში პოლიტხელების სიმონ ფირანიშვილისა და მიხეილ მარქაროვის გვამები მოიტანეს...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ერთიათად უნდა მივუზღოთ, ერთიათად! გამოსცრა კბილებში უფროსმა ლეიტენანტმა ქვილითაიამ.

და მართლაც, ერთიათად კი არა, ერთიასად მიეზღოთ ჰიტლერელ ბარბაროსებს.

პირველ იანვარს მთელ ფრონტზე საბჭოთა მეომრები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. ჰიტლერელები ამოყარეს რკინაბეტონის სიმაგრეებიდან, ბეგრს შავად გაუთენეს ახალი წელი და სამუდამოდ დაასამარეს მოზდოკის მისადგომებთან.

განთავისუფლდა მოზდოკი. რა თქმა უნდა, ფრონტული „საახალწლო ნადიმი“ არ გაგრძელებია. ბრძოლის ველზე ბევრი ჩვენი მეომარი ვეღარ შეხვდა ახალ წელიწადს. აი სწორედ მათს გმირულ შემართებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ხალხის, მისი სიმპატიას დღევანდელ დღეობას, ბედნიერებას, სიცოცხლესა და სიხარულს.

ა. კოკილაშვილი.

რუხის კოლმეურნეობა ზარა მარტო ზუგდიდის რაიონში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა. მაგრამ რუხელი კოლმეურნენი მიღწევებს არ სჯერდებიან და თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობის უკეთესი მომავლისათვის ზრუნავენ. ამ სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, როცა რუხელი კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო არტელის ხუთწლიან გეგმას ადგენენ. (ცენტრში დგას კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. კუტალია).

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ფრონტელი ჟურნალისტის ბლოკნოტიდან

იმ დღეთა გახსენება

გუშინდელი ფოსტიდან

მკითხველთა სტრიქონები

● **ამ დღეებში** ბათუმის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის განხორციელების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ძნელაძე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს ის მტკივნეული საკითხები, რომლებიც საოლებს ჯერ კიდევ გაჩნიათ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში.

აქტივზე სიტყვებით გამოვიდნენ აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე და საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის პირველი მდივანი მ. ქაჯაია.

მ. დონაური.

● **ჰიათურმარგანეცის** კალინინის სახელობის მაღაროთამმართველოს მუშამ ამბროსი გედევანის-ძე ცერცვაძემ ჰიათურის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მე-11 გამოშვების ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

ი. ჯაჯანიძე.

● **ბოლნისის** ორბელიანის სახელობის სახალხო თეატრის კოლექტივმა ამას წინათ მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. გუნიის დრამა „და-ძმა“. სპექტაკლი დადგა მ. გაბიაშვილმა, მხატვრულად გააფორმა დ. მირიანაშვილმა.

ი. გოგოხიძე.

● **რიტმულად და რენტაბელურად** მუშაობს „საქკბელის“ ზესტაფონის ქარხნის კოლექტივი. აქ ახლახან აითვისეს ნავთობის მრეწველობის ელექტროტუმბოსათვის საჭირო ახალი სამწვრიანი კაბელის გამოშვება.

ჰ. კაიკიძე.

● **ცხაკაიას** რაიონის სოფელ ზემო ჭალადიდის, აგრეთვე თეკლათის ორი უბნის — გოლასკურისა და ტყვირის მშრომელთა ოჯახებში საახალწლოდ ილიჩის ნათურები აციმციმდა. ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაში ჩინებულად იმუშავა საქსოფელელექტროს № 8 სპეცსამშენებლო-სამონტაჟო სამართველოს კოლექტივმა.

ს. კუპაკა.

ბევრ ახალწელს შევხვედრივარ, საამო სიხარულით დავმტკბარვარ, მაგრამ სულ სხვა იყო პირველი ფრონტული ახალი წელი, სანგრებში რომ შევხვდით, მტრის პირისპირ მდგომნი.

ჩვენი ქართული დივიზია 1942 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში გავიდა ხუტორ თამაზოვის ქვეშარაბში, მოზდოკზე საიერიშოდ ემზადებოდა. თოფი და ქვეშა ერთმანეთში იყო არეული. სანგრისა და ბლინდაჟის გაბრა იოლი იყო, მაგრამ სიმაგრე არ ჰქონდა, ნაშალით ივსებოდა.

30 დეკემბერს დილით მოულოდნელად კონრეტისორ შალვა ჩაგუნავის წაკაწყდი შტაბისაკენ მიმავალ ბილიკზე. გადავეხვიეთ ერთმანეთს.

— საიდან, როგორ? რამ მოგიყვანა ამ გაგანია ცეცხლში?

— გამომშვავნეს, — ღიმილით მითხრა მან, — ჩვენი ბიჭების ახალ წელთან შეხვედრა აღბეჭდე ფიროზეო.

ერთად წავედით დივიზიის შტაბში. პოლკებისა და ცალკეული ქვეგანაყოფების მეთაურთა ოპერატიულ თათბირზე დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა მიხეილ სელიხოვმა განაცხადა:

— დაზვერვამ გვაცნობა, რომ ჰიტლერელები დიდ მზადებაში არიან საახალწლოდ. ბლინდაჟებში საგულდაგულოდ ნაძვის ხეებიც კი დაუდგამთ. მოზდოკიდან ნაძარცვი ხალიჩები და პიანინოები ჩამოუტანიათ მიწისქვეშა „სადარბაზო სასასლეების“ მოსართავად, უამრავი საახალწლო საჩუქარი მიუღიათ გერმანიიდან. ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის სარდლობის ბრძანებაა ჩავუშვაროთ ჰიტლერელებს ახალი წელი; ხვალ, 31 დეკემბერს, გადავიდეთ გადამწყვეტ შეტევაზე და იერიშით ავიღოთ ქალაქი მოზდოკი. მგონი, ამის შემდეგ ფაშისტები იკადრებენ ხელი აიღონ კავკასიაში გამოზამთრებაზე.

დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა გენადი ლაბაძემ მიბრძანა იერიშის დაწყებამდე მომემზადებინა გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ საახალწლო ნომერი, ხოლო კინორეჟისორი შ. ჩაგუნავა თავისთან დაიტოვა.

გაზეთის რედაქცია გაშლილი იყო ქვეშნაყრებში. ასოთამწყობები გედეონ ბოლქვაძე და კოტე ჩოგოვაძე საახალწლო ნომრის მასალების აწყობაზე მუშაობდნენ, მბეჭდავი გრიგოლ ბობოხიძე კი შენიღბულ ავტომანქანაზე გამართულ „ამერიკანკას“ დასტრიალებდა და წმენდდა. რედაქციის მდივანი სულაბერიძე და ლიტმუშაკი თოდრია ქვეგანაყოფებში წასულიყვნენ ახალი მასალების ასაღებად.

ღამემ „მშვიდად“ ჩაიარა. ზოგჯერ აყეფდნენ ხოლმე ჰიტლერელთა „ვანიუშები“, მას მოჰყვებოდა ტყვიამფრქვევების გამული კაკანი და ავტომატების ტკაცუნი. მტერი ფხიზლობდა. ჩვენები გერმანელთა პროვოკაციას არ ეხმაურებოდნენ. ოღონდ მებრძოლებს გაასკეცებული თვალი და ყური ჰქონდათ.

გათენდა 31 დეკემბერი,

ვიცოდით, რომ იერიში ნაშუადღევს უნდა დაწყებულიყო. ჯერ ავიაცია მოუწყობდა ფრიცებს წინასაახალწლო „ვიზიტს“, მერე ჩვენს მეზობლად მდგომი კირიჩენკოს საკავალერიო ნაწილი და მათზე მიმგრებული ტანკები დაუშლერებდნენ მოგვიანებულ „ალილოს“, შემდეგ კი ქართველი მეომრები გადავიდოდნენ გადამწყვეტ იერიშზე.

მოვასწრებდით ამ დროისათვის საახალწლო ნომრის გამოშვებას? — ამაზე ვფიქრობდი, რომ ჩემს ვიწრო და უსერხულ ბლინდაჟში მოულოდნელად შემოვიდნენ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე მაიორი ადამ ჩიგილაშვილი, პარტკომისიის მდივანი ილიკო ბჟანია, პოლიტხელები სიმონ ფირანიშვილი, მიხეილ მარქაროვი და სერგო შიოშვილი.

— რა ამბავია, ცუდი ხომ არაფერია? — ცოტა არ იყოს შეშფოთებით მივმართე შემოსულთ.

— დაწყნარდით, ამხანაგო რედაქტორო, — ღიმილით დაიწყო ბჟანიამ, — ასაღლვებელი არაფერია, ყველაფერი რიგზეა. ოღონდ, თუ ნებას დაგვრთავთ, პატარა „ოპერაცია“ უნდა ჩავატაროთ.

ყველაფერს მაშინღა მივხვდი, როცა ჩიგილაშვილმა, ფირანიშვილმა და მარქაროვმა ჩემს „საწოლ-მაგიდაზე“ გაუხსნელი ამანათები დააწყეს. ჩვენი რედაქციის მეზობლად დაბანაკებული იყო შენაერთის საველე ფოსტა. ამ ამხანაგებს საქართველოდან მიეღოთ საახალწლო ამანათები და გადაეწყვიტათ, რაღა შორს წავიდეთ, ბარემ რედაქტორთან წინასწარ ვიახალწლოთო.

— ვინ იცის, დღეის ბრძოლების შემდეგ კაცი დარჩება თუ არა ცოცხალი? — რაღაც ნაძალადევი ღიმილით თქვა სიმონ ფირანიშვილმა, — აქვე მივულოცოთ ერთმანეთს ახალი წელი!..

ჩვენს საკრებულოს საველე ფოსტის უფროსი ნიკოლოზ წიგნაძე შემომატა. მან ქართული ღვინო და ოცოტას „ამტკვრევდა“. შემოვიდა ხელში ამანათით და თან გაბერვებით ჩამომარცხა:

— გურჯაანდან გაგზავნეს კაპიტანს რედაქტორს.

ეს ამანათი მართლაც გურჯაანიდან იყო. რაიონული გაზეთის „მეგზასის“ რედაქციის თანამშრომელთა საჩუქარი გაზეთის რედაქტორის შ. მაჭავარიანის აღმაფრთოვანებელი წერილით. ამანათში ასეთი ლექსიც აღმოჩნდა:

გიგზავნით ფორთოხლებს
ჩირსა და ჩურჩხელებს,
შემკულს და ფალოცვილს
მშობლიურ ალერსში;
თქვენს რისხვას მტარვალი
ვერ გადაურჩება
და ჰპოვებს სამარეს
საბჭოთა მხარეში.

მათ ვატანთ სიყვარულს,
გულსა და მხნეობას,
ეს ჩვენი ბიჭების
ოქრო და ვერცხლია;
გილოცავთ ახალწლის
ბრწყინვალე დღეობას,
რომელსაც ვერასდროს
მტრები ვერ შეცვლიან.

დასცხეთ და დაჭკარით
მტერს ყოველ ქალაქში,
დიდება თქვენს ნაბიჯს,
თქვენს მტაცეც მარჯვნას!
თქვენ გმირულ ბრძოლით და
ჩვენ შრომის ბარაქით
მივიყვანთ სამშობლოს
სრულ გამარჯვებამდე.

ლექსი ხმამაღლა წავიკითხე. ყველას მოეწონა. მაგრამ ამას ავტორის გვარი არ ეწერა. ლექსი მთხოვა პოლიტხელმა ფირანიშვილმა, ბიჭებს ბრძოლის წინ წაკუკითხავ, გაუხარდებათო.

სახელდახელოდ გაშლილი ფრონტული სუფრა დაამშვენა კახურმა ჩურჩხელებმა, ნაზუქმა, გოზინაყმა, ლეღვისა და აკმის ჩირმა, ყურძნის ცოცხალ-ცოცხალმა მტევნებმა, ბადაგში ამოვლებულმა ჩამიჩმა, ვაშლმა, თხილმა, ომისწინა დროიდან შემორჩენილმა ბაჭრის ნატეხებმაც კი და, რაც მთავარია სურნელოვანმა კახურმა ბაჟის არაყმა.

ილიკო ბჟანიამ ორასგრამიან ტოლჩაში არაყი დასასხა, ერთი კი თქვა — ამის გამომგზავნელს გაუმარჯოსო და სულმოუთქმელად გადაკრა.

ილიკოს ნაზუქის წვერი მოვუტეხე და შეკვეგე.

— გმადლობთ, ახლა კი არა მიშაკს რა. ბაჟამ ძარღვებში დამიარა, გათოშილი სხეული გამითბო, სიცივე ველარაფერს დამაკლებს.

— არყით სავსე ტოლჩამ რიგით ჩამოიარა.

— მრავალ ახალ წელს შევსწრებოდეთ, მეგობრებო, — თქვა ჩიგილაშვილმა, — გაისად ახალ წელს კი ერთმანეთისათვის მიგვეღოცოს მტერზე გამარჯვება და შინ მშვიდობით დაბრუნება.

— მე კი ასე ვიტყოდი, — დაიწყო ახლა მარქაროვმა, — ამ სასმისით იმისი სადღეგრძელო შევსვათ, ვინც ჩვენს შორის პირველი დაეცემა ბრძოლის ველზე. და თუ ეს მოხდა, შევფიცოთ ერთმანეთს, რომ არასოდეს არ დავივიწყებთ ამ ომში გმირულად დაცემულთ, ბატივს ვცემთ მათს სამარადისო ხსოვნას.

ნაშუადღევს შორს აეღვარდა ცაში ატყორცნილი შუშხუნა. იმ წამს ქვემეხების გრიალმა შეაზანზარა დედამიწა. ჩვენს უბანზე დაიწყო საარტილერიო მომზადება. მალე თავზე გადავიფრინეს მოიერიშეებმა. მცელავი ფრენით „დაამშვავეს“ გერმანელ ფაშისტთა რკინა-ბეტონის სიმაგრეები, ხანგრძლივი საცეცხლეწერტები. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა არტილერისტებმა ცეცხლი მტრის ზურგში გადაიტანეს, მარჯვენა ფრთიდან გაიჭრნენ კირიჩენკოს კავალერისტები ტანკებით, მერე მათ მიჰყვნენ ქართველი მეომრები.

გვიან დაღამებამდე გაგრძელდა ცხარე, სისხლისმღვრელი ბრძოლა. მეფსანბატში იმატა დაჭრილთა რაოდენობამ. დივიზიის ავტოტრანსპორტის მთელი შემადგენლობა გამოგზავნეს დაჭრილების ზურგში გადასაყვანად.

შებინდებისას დივიზიის მეთაურის საკოლეგიოზე ბრძანდა ბრიგადა ცალკეული ტანკებისა, ბრიგადა ცალკეული ავტომანქანებისა, ბრიგადა ცალკეული ავიაციისა, ბრიგადა ცალკეული ბრონეტანკებისა, ბრიგადა ცალკეული ბრონეავტომობილებისა, ბრიგადა ცალკეული ბრონეტრანსპორტიორებისა, ბრიგადა ცალკეული ბრონეფეიერვერკებისა, ბრიგადა ცალკეული ბრონეფეიერვერკებისა, ბრიგადა ცალკეული ბრონეფეიერვერკ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ფორეული ოკეანიდან...



ტრაულერი „თბილისი“ სამშობლოში დაბრუნდა

ახალი წლის წინ ფოთის ნავსადგურის თევზის მრეწველთა მისალმებთან ღუზა ჩაუშვა ტრაულერმა „თბილისმა“. საოკეანო თევზჭერის რესპუბლიკურ სამმართველოსა და ფოთის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა და პიონერებმა ქართველ მებადურთა სახელოვან ეკიპაჟს გულითადი შეხვედრა მოუწყეს.

ტრაულერის რეისი, რომელიც სამხრეთ ატლანტიკის წყლებში 9 თვეს გაგრძელდა, წარმატებით დაგვირგვინდა. ტრაულერის თავკაცებმა — კაპიტან-დირექტორმა გიორგი სვანიძემ და პირველმა თანაშემწემ პოლიტნაწილში ალი ანთიძემ განაცხადეს:

— რეწვის სახელმწიფო დავალება შესრულებულია 109 პროცენტით, თევზის გაყინვისა—115 პროცენტით, ჩვენს ანგარიშზეა 55.700 ცენტნერი თევზი, რაც გეგმას 4.700 ცენტნერით აღემატება.

მთელმა ეკიპაჟმა მამაცობისა და მეზღვაურული წრთობის დიდი სკოლა გაიარა. განსაკუთრებული ქება დაიმსახურეს უფროსმა შტურმანმა ნ. მხატვარმა, უფროსმა მექანიკოსმა გ. მამფორიამ, კაპიტან-დირექტორის მოადგილემ წარმოების დარგში ნ. კოხრეიძემ, ტრალის უფროსმა ვ. დუნდუამ, უფროსმა მესაჭემ ვ. მზარულამ, უფროსმა მოტორისტმა ვ. ბასილაიამ, მოტორისტებმა ბ. ჩაჩავამ, ა. ქაჯაიამ და სხვ.

ჯ. კომახიძე.

• • •

სურათზე: ტრაულერი „თბილისი“ ფოთის ნავსადგურში.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

სასიხარულო სიახლენი

☐ **ჰიათურა.** (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს მშრომელებმა კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს. აქ დამთავრდა მუშათა ახალი კლუბის მშენებლობა. იგი ორასზე მეტ კაცს იტევს. კლუბს აქვს რამდენიმე დარბაზი საწრეო მუშაობისათვის.

☐ **წალენჯიხა.** (საკ. კორ.). დიდი სიხარული ჰქონდათ ამ დღეებში ჯვაროელ მშრომელებს. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 350-ადგილიანი კლუბის ახალი შენობა და დაიდგა კინოსტაციონარი. კოლმეურნეობის ახალ კლუბში გადმოვიდა სოფლის კულტურის სახლი, რომელიც წინათ შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული.

☐ **ჩოხატაური.** (საკ. კორ.). ნაბეღლავის სოფლის ცენტრში მდინარე გუბაზოულზე გაიხსნა კაპიტალური ხიდი. ამ ხიდმა გუბაზოულის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებნი დაუკავშირა სოფლის ცენტრთან.

25 წელი სცენაზე

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ხასან მიქელაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. მახარაძემ. მოხსენებით გამოვიდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი კ. ბოლქვაძე. იუბილარს მიესალმნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დასასრულ აჩვენეს სცენები სპექტაკლებიდან ხ. მიქელაძის მონაწილეობით.

ესრეკს ქალის თბილისი

მხრეს შლის ჩვენი დედაქალაქი, იზრდება და მშვენდება იგი. ბუნებრივია, ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, თუ რა სიახლენი შეემატა თბილისს საახალწლოდ. აი ამის შესახებ რა გვაცნობეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

დაგელოცოთ ფუძე!

პირველ რიგში საცხოვრებელ სახლებს ჩამოთვლით. ამ რამდენიმე წლის წინ ქალაქის საბჭოში საახალწლოდ სულ რამდენიმე 4-5-სართულიანი საცხოვრებელი სახლის დამთავრებას თუ გვისახელებდნენ, ახლა კი ყველას ჩამოთვლა გაგიძნელდებათ. მერე ისიც სულ 8-სართულიანი სახლებია. სახელმწიფოთა კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ჩვენს ქალაქში საახალწლოდ დამთავრდა და, უკანასკნელი შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს: საბურთალოზე — I კვარტალი, კორპუსი № 1, II კვარტალი, კორპუსი № 37-ი, III კვარტალი, კორპუსი № 27-ბ.

ლენინის რაიონში — კონიაკის ქარხნის დასახლების ტერიტორიაზე, № 23 კორპუსი, იქვე კორპუსი № 24, ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაში კორპუსი № 11, № 1, № 4. და სხვ.

ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ჩვენს ქალაქში კოოპერაციული მშენებლობაც.

ამ სახლებში მობინადრეები ამ დღეებში შესახლდებიან.

ჩვენს დედაქალაქში ყველა დაწესებულებისა და სამინისტროს მიერ 1965 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლების ფართობი შეადგენს 225 ათას კვადრატულ მეტრს. ამ კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინებში შესახლდა და შესახლდება შვიდნახევარ ათასზე მეტი თბილისელის ოჯახი.

საჩუქარი პატარებს

საახალწლოდ ჩვენმა ნორჩებმაც გაიხარეს. მათთვის ტიპური პროექტით აშენდა სამაგიერო ბაგა-ბაღები. თვითეული მათგანი გათვალისწინებულია 140 ბავშვისათვის. ამ შენობათა უპირატესობა ის არის, რომ ისინი წარმოადგენენ ერთ და ორსართულიან ნაგებობათა კომპლექსებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვების უკეთ დასვენებასა და სწავლას.

ასეთი კეთილმოწყობილი ბაგა-ბაღის მშენებლობა დამთავრდა 26 კომისრის რაიონში, მეგობრობის პარკში, საბურთალოზე მე-6 და მე-7 კვარტალებში, მე-2 და მე-3 მასივებში. ლენინის რაიონში, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაში და ამავე რაიონში ავიაციის ქუჩაზე.

ქუჩები, ბაღები

დამთავრდა ქალაქის ერთ-ერთი ჩქაროსნული გზატკეცილის კეთილმოწყობა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ზომარაულის ქუჩიდან დიღმის ხიდამდე. ამით დასრულდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს საერთო კეთილმოწყობა მეტეხის ხიდიდან დიღმის ხიდამდე. მთლიანი სიგრძე ამ გზატკეცილისა 10 კილომეტრია.

უკვე დამთავრდა კუს ტბამდე მისასვლელი საავტომობილო გზის გაყვანა, რომელიც სათაევე ი. ჭავჭავაძის პროსპექტიდან იღებს. გზის სიგრძე 2.574 მეტრია. ეს კეთილმოწყობილი გამწვანებული გზა ხელს შეუწყობს თბილისელებს ზაფხულის პერიოდში ავიდნენ კუს ტბაზე, ისარგებლონ ამ შესანიშნავი ადგილით. თუმცა საავტომობილო გზასთან ერთად აქ მალე დამთავრდება სამგზაურო-საბაგირო გზის მშენებლობა.

საახალწლოდ დამთავრდა ლენინის რაიონში ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაში ახალ საბავშვო საავადმყოფოსთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა. ავტალის გზატკეცილის გაყოლებით ამოავსეს გვაზაურის ყოფილი ხევი. ეს ადგილი ახლა გამწვანებულია.

ლამაზი სკვერი მოეწყო პირველი მაისის რაიონში გუდაურის ქუჩაზე, ორჯონიკიძის რაიონში ტოპოგრაფიული ტექნიკუმის გვერდით, მეტეხის მოედანთან და სხვ.

1966 წელს კიდევ უფრო გაფართოვდება საბინაო მშენებლობა, კიდევ უფრო კეთილმოწყობა და დამშვენდება ჩვენი დედაქალაქი.

ლ. ტატიშვილი.

სურათზე: ავტოშემკეთებელთა საახალწლო ზეიმი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საახალწლო ზეიმზე

ლამაზად მოურთავთ თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის ახალგაზრდებს თავიანთი კლუბის დარბაზი. შუაში დიდი ნაძვისხე დგას ათასფერი სათამაშოებით აელვარებული და გაბრწყინებული. კედლებს თვით ახალგაზრდა მუშების მიერ შესრულებული მხატვრული სურათები ამშვენებს. აქ ყველაფერი მათი ხელით არის მორთული და მოხატული. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ახალი წლის წინა დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ისინი ხალისით მოვიდნენ კლუბში, სადაც მათთვის ქარხნის ადმინისტრაციამ, პარტიულმა, საქარხნო და კომკავშირულმა კომიტეტებმა საახალწლო ზეიმი მოაწყეს.

ეს საღამო განსაკუთრებით იმით იყო აღსანიშნავი, რომ შრომასა და სპორტში მიღწეული წარმატებებისათვის ქარხნის მოწინავე მუშებს ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით აჯილდოებდნენ. მერე განა ცოტანი არიან ისინი? ზეინკალი ვ. კანდელაკი, ხარატი გ. ჭელიძე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირები ა. ჩაჩანიძე და ს. აფციაური, კომპლექსური კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ვ. ლევიეკი, მხეზავი ა. ჯაფარიძე და სხვ. — სულ 60 კაცი. თვითეული მათგანი საწარმოო დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებს.

ავტოშემკეთებელთა საზეიმო საღამო გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ცერცვაძემ. მან მიულოცა მუშებს მიღწეული წარმატება. საწარმომ ხომ ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. აქ 1 ნოემბრისათვის შეასრულეს სასაქონლო და საერთო პროდუქციის შვიდწლიანი გეგმა. გეგმის ზევით შეკეთებულია რამდენიმე ათეული ავტობუსი და რამდენიმე ასეული სატვირთო მანქანა.

გაისმის ქარხნის ორკესტრის საზეიმო მელოდიები. პატარბიუროს მდივანი რ. ნიკურაძე საჩუქრებს გადასცემს მოწინავე მუშებსა და სპორტსმენებს.

მოუთმენლად ელოდნენ ახალგაზრდები საზეიმო ნაწილის დასასრულს. ცოტა ხანიც. და აეღერა ორკესტრი. ... ...